საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 133

09 02 2012წ.

ქ. თბილისი

აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესის დამტკიცების, აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“, „კ“ და „ო[1]" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესი დანართის შესაბამისად.

2. შეიქმნას აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) პეტრე წურწუმია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ნანა ჭიღლაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გიორგი ცხვედიანი - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი, კომისიის მდივანი;

დ) მარინე ჟვანია - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

ე) რევაზ ხოფერია - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე.

3. გამოცხადდეს აკრედიტაციის ექსპერტთა შესარჩევი კონკურსი. აკრედიტაციის ექსპერტობის კანდიდატების საკონკურსო განაცხადების ცენტრში წარდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 16 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა არ გავრცელდეს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტობის კანდიდატებზე. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის კომისია უფლებამოსილია ამ კანდიდატებთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულად ჩათვალოს აკრედიტაციის ექსპერტობის კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები და შესაბამისი რეკომენდაცია წარუდგინოს ცენტრის დირექტორს, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას პირის აკრედიტაციის ექსპერტთა სიაში შეყვანის თაობაზე.

5. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისა და ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დირექტორი აკაკი სეფერთელაძე

202330566